პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 174 (10568) | შაბათი, 28 ივლისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსავლის აღების დღეებში

ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებში გაჩაღებულია თავდადებული შემოქმედებითი შრომა, კოლმეურნეები და მექანიზატორები წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ნაყოფს იმკიან.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის პირნათლად შესრულება ამჟამად ყველაზე მთავარი, უდიდესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სოფლის მშრომელთა ძალებისა და ენერგიის მობილიზაციას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალების მაქსიმალურად გამოყენებას.

წარმატებანი მოსავლის აღების საქმეში ძირითადად დამოკიდებულია სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაზე, იმაზე, თუ როგორ მოაწყობენ ისინი ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მინდვრად. რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან. წითელწყაროს რაიონის საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თითქმის ყველა საკოლმეურნეო კალოზე შექმნეს საველე აგიტპუნქტები, სადაც შემოღებულია აგიტატორთა მორიგეობა, იმართება საუბრები, ლექციები, მოხსენებები, აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლები, უჩვენებენ კინოსურათებს, გამოდის კედლის გაზეთები და საველე ფურცლები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ მოწინავე კოლმეურნეებს და მექანიზატორებს, ამხილებენ ნაკლოვანებებს, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. წითელი კუთხეები და აგიტპუნქტები მომარაგებულია მხატვრული და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით, გაფორმებულია ლოზუნგებით, პლაკატებით, მოწინავე ადამიანთა საქმიანობის ამსახველი ფოტოსტენდებით. ბევრ აგიტპუნქტში დადგმულია რადიო.

მოსავლის აღების საქმეში ცენტრალური ფიგურა კომბაინერია. ვინც ამას თვალისწინებს, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომბაინერებთან მუშაობას. ასურეთის მტს-ის ყველა კომბაინის აგრეგატზე გამოყოფილი არიან აგიტატორები, ამასთან ეს საქმე მინდობილი აქვთ მოწინავე, პოლიტიკურად მომზადებულ და სათანადო გამოცდილების მქონე ამხანაგებს — კომუნისტებს და უპარტიო აქტივისტებს, რომლებსაც უნარი შესწევთ საგიტაციო საუბრები მტკიცედ დაუკავშირონ ცხოვრებას, აგრეგატის კოლექტივის საბრძოლო ამოცანებს, დარაზმონ, გაიყოლიონ მასები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებია. ქარელის რაიონის სოფელ არადეთის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში კალოზე და კომბაინის აგრეგატებზე არავითარი პოლიტიკური მუშაობა არ წარმოებს, აგიტატორები უმოქმედობას იჩენენ, ხოლო პარტორგანიზაცია ზომებს არ იღებს შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ცალკეული კოლმეურნეების და მექანიზატორების უყაირათო მუშაობის აღმოსაფხვრელად.

ამას წინათ გურჯაანში, ყვარელსა და წითელწყაროში მოეწყო რაიონული და ზონალური თათბირები მოსავლის აღების დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. ამ თათბირებზე გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. კერძოდ, აღინიშნა, რომ თუმცა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად ამაღლდა პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონე, იგი უფრო ქმედითი, მებრძოლი გახდა, მაგრამ მის მთავარ ნაკლად კვლავ რჩება განყენებულობა, ცხოვრებისაგან, კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანებისაგან მოწყვეტა. ამავე დროს საგიტაციო მუშაობა მხოლოდ მაშინ შეუწყობს ხელს მინდვრის სამუშაოთა გეგმების წარმატებით შესრულებას, თუ მას არ ექნება განყენებული ხასიათი, თუ მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ადგილობრივი სინამდვილის კონკრეტულ ფაქტებთან, რაიონის, კოლმეურნეობის, მტს-ის ამოცანებთან.

მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლია ისიც, რომ რაისაბჭოების აღმასკომების კულტურის განყოფილებები, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიურო იშვიათად აწყობენ ლექციებს კალოებზე და საველე ბანაკებში. კულტურის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა კინომომსახურებას. სოფლებში ხშირად მოძველებული კინოფილმები იგზავნება.

სოფლის პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიკომები და მათ ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში მოვალენი არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა აგიტკოლექტივებისა და აგიტატორებისადმი, რათა კიდევ უფრო აამაღლონ პოლიტიკური აგიტაციის დონე. პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობის სიმძიმის ცენტრი ამ დღეებში უნდა გადაიტანონ მინდვრად — კალოებზე, საველე ბანაკებში, კომბაინების აგრეგატებზე, იქ, სადაც მოსავლის აღების ბედი წყდება.

აგიტატორები მშრომელებს სისტემატურად და გულმოდგინედ უნდა განუმარტავდნენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1956 წლის 30 ივნისის დადგენილებას „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“, რომელიც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია, აცნობდნენ მათ პარტიის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალებს. თავიანთი მუშაობით აგიტატორები ხელს უნდა უწყობდნენ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შეგნებულობის ამაღლებას, აჩაღებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ავრცელებდნენ შრომის მოწინავე მეთოდებს.

კაჭრეთელი კომბაინერის ნ. ფრიდონაშვილის თაოსნობით წელს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება კომბაინის აგრეგატების კოლექტივებს შორის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის. აგიტატორები მოვალენი არიან ყოველდღიურად გააცნონ მშრომელებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, შეჯიბრებაში დაწინაურებულთა მაჩვენებლები, ამრავლონ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის შეჯიბრების მონაწილეთა რიგები, წაახალისონ მოწინავენი, უზრუნველყონ ჩამორჩენილთა დაწინაურება.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა მოაწყონ მინდვრად ლექციები, მოხსენებები, აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლები, კინოსურათების ჩვენება. დიდი როლი აკისრიათ რაიონულ გაზეთებს, რომლებიც მოწოდებული არიან ფართოდ გააშუქონ მოსავლის აღების მიმდინარეობა, ამხილონ ნაკლოვანებანი, დარაზმონ მშრომელები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების ამოცანის შესასრულებლად.

პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამება პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. ამიტომ სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა მოაწყონ, რომ იგი ნამდვილად უწყობდეს ხელს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას, სახელმწიფოსათვის პურის ვადამდე ჩაბარების ვალდებულების შესრულებას, ამავე დროს აძლიერებდეს თივისა და პირუტყვისათვის საკვების დამზადებას, სათოხნი კულტურების დამუშავების, ვენახის მოვლისა და ჩაის ფოთლის კრეფის ტემპს.

## სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები სამამულო ფლოტის სახელოვანი ისტორიის, დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მეზღვაურების გმირობის შესახებ.

ამ დღის აღსანიშნავად იმართება კანჯოს გუნდების, მცურავების, ნიჩბოსნების შეჯიბრებანი. თბილისში, ლისის ტბაზე გაიმართა № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის და მაკარონის ფაბრიკის კოლექტივების შეჯიბრება ცურვასა და ნიჩბოსნობაში. მასობრივი შეჯიბრება მოეწყო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის წყალჯომარდობის სადგურებში. (საქინფორმი).

30 ივლისს საღამოს 7 საათზე შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია **პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი** შემდეგი დღის წესრიგით:

1. სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულებისათვის რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.
2. რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ მშრომელთა შორის აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

# საბჭოთა საქართველოს დღე

★

## დაიწყო ტყიბულჰესის წყალსაცავის ავსება

ტყიბული. (საქ. კორ.). დღითიდღე ძლიერდება ტყიბულჰესის მშენებლობის ტემპი. 26 ივლისს დამთავრდა წყალმიმღების მონტაჟი. საიმედო რკინის კარებმა მტკიცედ გადაუღობა გზა მდინარე ტყიბულს. დაიწყო წყალსაცავის ავსება. დღეღამის განმავლობაში წყლის დონემ შესამჩნევად აიწია.

ინტენსიურად მუშაობს გამოცდილი ინჟინრის მირიან ურუშაძის უბნის კოლექტივი, რომელიც საგენერატორო სადგურის შენობას აგებს. წარმატებით მიმდინარეობს საწნეო მილსადენისა და აგრეგატების მონტაჟი.

## აგიტმხატვრული ბრიგადა მინდვრად

ახალციხე. (საქ. კორ.). შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში შედიან პარტიის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფის კვალიფიციური ლექტორები და ახალციხის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის წევრები.

ბრიგადა მომსახურებას უწევს მინდვრად მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებს და იალაღებზე მყოფ მწყემსებს.

ამ დღეებში ბრიგადა გავიდა მუსხისა და ურავლის საკოლმეურნეო მინდვრებზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მასალებზე კოლმეურნეებს ესაუბრა ლექტორი დ. კოჟორიძე. კულტურის სახლის გუნდმა შ. ალთუნაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა ქართული სიმღერები.

## იზრდება „სქურის“ მინერალური წყლის ჩამოსხმა

წალენჯიხა. (საქ. კორ.). სულ უფრო პოპულარული ხდება მინერალური წყალი „სქური“, რომელიც მდებარეობს წალენჯიხის რაიონული ცენტრიდან 14 კილომეტრის დაშორებით. შარშან წალენჯიხის ადგილობრივმა მრეწველობამ 875 ათასი ლიტრის ნაცვლად გამოუშვა 928 ათასი ლიტრი, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვეში — 443 ათასი ლიტრი „სქური“, რაც გეგმას დიდად აღემატება. წლის ბოლომდე გათვალისწინებულია კიდევ 945 ათასი ლიტრის ჩამოსხმა.

მინერალური წყლის ჩამოსხმაში თავი ისახელეს საწარმოს მოწინავე ადამიანებმა ჩამომსხმელებმა ტ. იალქოვამ და ღ. ცირამუამ, ბოთლების მრეცხავებმა ჟ. მაზუროვამ, ვ. პრუტკომ და სხვ.

მეექვსე ხუთწლედის მანძილზე გათვალისწინებულია ქარხნის რეკონსტრუქცია და წყლის ჩამოსხმის ერთიორად გადიდება.

## ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალი

საქართველოს — სახელმწიფო სასელექციო სადგურმა გამოიყვანა რამდენიმე ახალი ჯიშის საშემოდგომო ხორბალი. მათ შორის ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა ჯიში „მოწინავე“. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ წელს ხორბლის ეს ჯიში დათესა 10 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე მიიღო 42 ცენტნერი მარცვალი. იმავე კოლმეურნეობაში ისეთსავე პირობებში დარაიონებული ჯიში „კრასნოდარი“ ჰექტარზე 25 ცენტნერს იძლევა.

ხორბალი „მოწინავე“ არა მარტო უხვმოსავლიანია, არამედ მას აქვს მთელი რიგი ძვირფასი თვისებები — გამძლეა ყვითელი ჟანგას წინააღმდეგ და არ წვება.

შემოდგომაზე ამ ჯიშის ხორბალს წითელწყაროს რაიონში დიდი რაოდენობით დათესავენ.





[illegible]

## პურს ახალი მეთოდით მკიან

[illegible] ქერის მოსავლიანობის გადიდებაში. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 27 ცენტნერი ქერი, გეგმა კი 12,8 ცენტნერს ითვალისწინებს.

თუ გასულ წლებში კომბაინერები ტერიტორიულად დიდად იყვნენ დაშორებული ერთმანეთს და ისე იღებდნენ მოსავალს, წელს დანერგეს ახალი წესი—ჯგუფურად მუშაობენ. მკის ასეთი წესი საგრძნობლად ამცირებს დანაკარგებს, პროდუქციის თვითღირებულებას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას. მაგალითად, მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯგუფურად მუშაობდა 5 კომბაინი, აქედან ერთი თვითმავალი კომბაინი, რომლის საშუალებით მექანიზატორებმა ირგვლივ შემოჭრეს ასაღები ყანები, თანაბრად ხუთ ნაწილად გაჰყვეს ნაკვეთი. კომბაინების შორს მანძილზე მუშაობის დროს აუცილებელი იქნებოდა მოეწყოთ 5 კალო და კალომდე მარცვლეულის გადასატანად გამოეყოთ 5 ავტომანქანა. კომბაინების ჯგუფუ[illegible] მტს-ს უადვილებს კომბაინებისადმი ტექნიკურ მომსახურებას. ამის შედეგად მცირდება კომბაინების ტექნიკური მიზეზებით მოცდენა, რაც ადიდებს მათს სადღეღამისო წარმადობას. ამასთან ამ წესით მუშაობა ამცირებს მკის ვადებს და, მაშასადამე, პურეულის დანაკარგებსაც. სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი მექანიზატორი დაწინაურდა. კომბაინერი ს. შოშიაშვილი, რომელიც თვითმავალ აგრეგატზე მუშაობს, ინარჩუნებს მტს-ის გარდამავალ წითელ დროშას. მან 9 სამუშაო დღეში 152 ჰექტარზე აიღო მოსავალი და 301 ტონა მარცვლეული გალეწა. ნაყოფიერად მუშაობს კომბაინერი ა. გულიაშვილი, რომელიც ყოველდღიურად მკის 23 ჰექტარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. მკაში დაწინაურდნენ აგრეთვე კომბაინერები გ. გაბაიშვილი, გ. მამუკაშვილი, ა. მიგრიაული, ნ. ჯავახიშვილი.

მარტყოფის მტს-ის ზონის [illegible] ობდეს. მტს-ის 17 კომბაინიდან მხოლოდ 10 კომბაინი მუშაობს ღამით. ამის მიზეზი ის არის, რომ არა აქვთ ელექტროგანათება, ცუდად არის მოწყობილი კომბაინების ტექნიკური და სამეურნეო მომსახურება. ცალკეულ კოლმეურნეობებში მოწყობილი არ არის ნამდვილი მასობრივი ბრძოლა მინდვრად დარჩენილი თავთავების შესაგროვებლად. სოფლის მოსახლეობა მთლიანად არ არის ჩაბმული დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ ფაქტებს შევხვდით ნორიოს ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

მარტყოფის მტს-ის პარტიულმა, სამეურნეო და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე კომბაინერთა და კოლმეურნეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვით უნდა მიაღწიონ საერთო აღმავლობას, ჩამორჩენილები გაუთანაბრონ მოწინავეებს და უზრუნველყონ მოსავლის უდანაკარგოდ აღება.

## კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

27 ივლისი

### გორის მტს-ში

**რ. ყაზარაშვილი** მოსავალს იღებს სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „განთიადში“. მან „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მომკა 20 ჰექტარი, ნაცვლად 10-სა და გალეწა 275 ცენტნერი მარცვლეული.

**ვ. მირაქოვმა** სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-4“ მარკის თვითმავალი კომბაინით მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე, ნაცვლად 8-სა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 13 ცენტნერი პური.

**ა. თვაური** მუშაობს სოფელ ძევერის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში. „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მან მომკა 15 ჰექტარი.

**ბ. ყაზარაშვილმა** „სტალინეც-4“ მარკის თვითმავალი კომბაინით სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „განთიადში“ მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე და გალეწა 120 ცენტნერი პური.

### ქარელის მტს-ში

**გ. სარქისოვი** კარგად ამუშავებს თვითმავალ კომბაინს სოფელ ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობაში. მან პურეული მომკა 14 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. ხორბლის მოსავლიანობა ჰექტარზე 18 ცენტნერს შეადგენს.

**გ. სიხაშვილმა** თვითმავალი კომბაინით სოფელ ქარელის კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე და ამით დაწესებულ დღიურ ნორმას 4 ჰექტარით გადაამეტა. ჰექტარზე ხორბლის მოსავლიანობა 17 ცენტნერს შეადგენს.

**დ. ნოზაძემ** ახალსოფლის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ გალეწა 16 ცენტნერი მარცვლეული.



## რესპუბლიკის საწარმოებში

150-მდე კაცი მუშაობს თბილწყალმოწყობილობის ქარხანაში. აქ ამზადებენ წყალსადენის გაყვანისათვის საჭირო ყველა მოწყობილობას, მათ შორის საარმატურო დეტალებს. ამ დეტალებისათვის იყენებენ ჰედად თუჯს, რომელსაც აქვე წარმატებით ასხამენ.

ქარხნის კოლექტივი ბეჯითად შრომობს იმისათვის, რომ მოკლე ხანში უზრუნველყონ ახალი წყალსადენის ამუშავება დედაქალაქში, რომელიც თბილისის წყალსაცავიდან წყლით მომარაგებს ნავთლუღს და თბილისის სამხრეთ უბნებს. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს საამქროს უფროსმა ა. კესოიანმა, მუშებმა ო. ბაიდაშვილმა, თ. მესერჩუკმა და სხვ.

ქარხანა ქალაქ ლვოვიდან იღებს წყალსაზომების კორპუსებს და აქ სპეციალური ბრიგადა აწყობს და ამზადებს მათ. ბრიგადირი მ. ბუზლულაშვილი, მუშა შ. თავბერიძე და სხვები სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებენ ყოველთვიურ დავალებებს.

• • •

ინგურის ქაღალდის კომბინატმა წელს ძირეულად გარდაქმნა მუშაობა და რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩადგა. კომბინატის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. აქ დღე-ღამეში ათეულ ტონა ქაღალდს უშვებენ; გასულ წელს 56 მილიონამდე ცალი რვეული მისცეს სამშობლოს, წელს კი გაცილებით მეტს გამოუშვებენ. საამქროებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად. კომბინატის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ მიმდინარე წლის გეგმა შეასრულოს ნოემბრის ბოლომდე.

• • •



სურათზე: ზევით — თბილწყალმოწყობილობის ქარხნის წყალსაზომების შემკეთებელი ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ბუზლულაშვილი ამოწმებს ახალშეკეთებული საზომების სიზუსტეს; წრეში — ინგურის ქაღალდის კომბინატის წუნმდებელი ა. ბოკუჩავა (მარცხნივ) და ე. ნარმანია სინჯავენ ქაღალდის რულონებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და გ. გოგოხიასი.

## დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების ელექტრომელიორაცია

[illegible] მელიორაციის საცდელ-საკვლევი ინსტიტუტის ნიადაგისა და მელიორაციის ლაბორატორიაში, რომელსაც პროფესორი ა. ვოზნესენსკი ხელმძღვანელობს, შეიმუშავეს ორიგინალური მეთოდი ამ უნაყოფო მიწების მელიორაციისა ელექტრობის დახმარებით. ეს მეთოდი ასეთია:

გასაუმჯობესებელ ნაკვეთზე იდგმება რკინის ელექტროდები, რომლებიც შეერთებულია მუდმივ ელექტროდენთან. ნიადაგში გაშვებული დენი შლის იქ არსებულ მარილებს და ამასთან წარმოქმნილი კაუსტიკური სოდა და მჟავა გროვდება ელექტროდების გარშემო. ამრიგად, ნიადაგი თავისუფლდება მავნე მარილებისაგან.

ნიადაგის ელექტრომელიორაციის ცდებმა, რომლებიც წარმოებულია ლაბორატორიულ და საველე პირობებში, დადებითი შედეგები მოგვცა. სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ამ მეთოდით გაუმჯობესდა საცდელი ნაკვეთის ნიადაგი, რომელზეც დათესეს მრავალწლიანი ბალახები. იქ, სადაც წინათ არაფერი არ ხარობდა, ამჟამად ხშირი ბალახია.

ინსტიტუტის ლაბორატორიაში მუშავდება ელექტრობით ნიადაგის გასაუმჯობესებელი სპეციალური კიდული მანქანის სქემა, გრძელდება ნიადაგის ელექტრომელიორაციის საწარმოო ცდები.

## მხატვრული კერამიკის ახალგაზრდა სპეციალისტები

ამ დღეებში საქართველოს სარეწაო საბჭოს მცხეთის მხატვრული კერამიკის სკოლაში მოხდა კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება.

კვალიფიკაციის მისაღებად სკოლის მსმენელები სწავლის პერიოდში გაგზავნილი იყვნენ მოსკოვისა და პოლტავის ოლქების კერამიკულ ქარხნებში, აგრეთვე თბილისის კერამიკულ კომბინატში.

საკვალიფიკაციო კომისიას მსმენელებმა წარუდგინეს ანგობირებული ჭურჭელი — ლამაზი სურები, ფიალები, მათარები, ფაიფურისა და ნახევრადფაიფურის დეკორაციული ლარნაკები, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ჭურჭელი. კომისიამ მაღალი თანრიგი მიანიჭა მხატვრული კერამიკის ახალგაზრდა სპეციალისტებს. შესრულების მაღალი ოსტატობითა და მხატვრული გემოვნებით გამოირჩეოდა მოსწავლეების ჟ. მანჩხაშვილის, ჟ. გრძელიშვილის, ნ. გიგაურის, მ. ძაგანიშვილის და სხვათა ნამუშევრები.

სკოლის კურსდამთავრებულნი იმუშავებენ საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემაში შემავალი მხატვრული კერამიკის საწარმოებში.

## ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება

26 ივლისისათვის რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 54,6 პროცენტით, ხოლო ივლისის დავალება — 53 პროცენტით. ივლისის 25 დღეში მოკრეფილია 19.273,4 ტონა ჩაის ფოთოლი.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის დავალება შესრულებულია 70,7 პროცენტით, ქობულეთის — 55,6, გალის — 57, ოჩამჩირის — 54,9, გულრიფშის — 87,3, სოხუმის — 36, გუდაუთის — 30,3, მახარაძის — 54,6, ჩოხატაურის — 75,2, ლანჩხუთის — 40,6, სამტრედიის — 50,3, წულუკიძის — 44,6, ქუთაისის — 36,6, წყალტუბოს — 77,2, ტყიბულის — 30,1, ცხაკაიას — 45,7, აბაშის — 49, გეგეჭკორის — 54,6, ზუგდიდის — 47,8, წალენჯიხის — 43,9, ჩხოროწყუს — 72,7, ხობის — 48,9, თერჯოლის — 76, ზესტაფონის რაიონში — 60 პროცენტით.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს!

## ტექნიკური პროგრესისათვის

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი დაუცხრომელი ენთუზიაზმით იბრძვის პარტიის XX ყრილობის მიერ საბჭოთა მანქანათმშენებლებისა და ჩარხმშენებლების წინაში დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

მოწინავე გამოცდილების გავრცელება ქარხანაში ხდება უშუალოდ სამუშაო ადგილზე სწავლებით. აქ ჩამოყალიბებულია მოწინავე გამოცდილების შემსწავლელი სკოლები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ქარხანაში მომუშავე ნოვატორები. მათ ეხმარებიან საწარმოს ინჟინრები, ტექნიკოსები, ოსტატები. ისინი წინასწარ სწავლობენ ცალკეული დაწინაურებული მუშების, საუკეთესოდ მომუშავე ბრიგადების გამოცდილებას, მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, ყოველ გაუმჯობესებას.

დიდი ყურადღება ექცევა ქარხანაში მასების შემოქმედებითი აზრის, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მუშაობის წახალისებას, მათ წინადადებათა დროულად განხილვას და წარმოებაში დანერგვას.

კარგი შედეგები მოგვცა აგრეთვე ტექნიკური კონფერენციის მოწვევის პრაქტიკამ. ასეთ კონფერენციებზე ხშირად ეწყობა ცალკეულ ნოვატორთა მოხსენებები, მოწინავე ადამიანთა გამოცდილების შესახებ საუბრები, რაციონალიზატორებისათვის მიცემულ თემატიკურ დავალებათა განმარტებები. დიდსა და მეტად სასარგებლო საქმეს აკეთებს რაციონალიზატორთა საბჭო, რომელიც შექმნილია და მუშაობს ქარხნის მთავარ ინჟინერთან. მარტო მეხუთე ხუთწლედში ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორთა მიერ შემოტანილი წინადადებებიდან წარმოებაში დაინერგა 1.300-ზე მეტი.

ქარხანას ჰყავს ნოვატორები, რომელთა სახელი უკვე დიდიხანია გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. ერთი მათგანია პავლე ზუბრიცკი, რომელმაც სულ ბოლო დროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დანერგა წარმოებაში, კერძოდ, ლითონდამუშავების ტექნიკაში.

ცნობილია, რომ ჩარხზე მუშაობის დროს ხარატს დიდი დრო ეხარჯება ჩარხზე დასამუშავებლად დამაგრებული დეტალის მოხსნაზე გასაზომავად და მზადყოფნის შესამოწმებლად. ჩარხზე დეტალის დამაგრება ხდება სპეციალური მასრით მუშტებს შუა, რომლებიც ამ მასრას ორივე მხრიდან უჭერენ და უძრავად ამაგრებენ. დამუშავების პროცესში დეტალის მოხსნა რამდენჯერმეა საჭირო. ხარატმა სპეციალური სახელურით უნდა მოუშვას მუშტები, მასრა გაათავისუფლოს, ამოიღოს დეტალი, გაზომოს და, თუ საჭირო აღმოჩნდება მისი დამატებითი დამუშავება, ხელახლა მოარგოს მასრას, ჩადოს მანქანის დარჯაკში, მოუჭიროს მუშტები და განაგრძოს დეტალის დამუშავება. ამას დიდი დამხმარე დრო მიაქვს, ხოლო რაც უფრო მეტია დამხმარე დროის ხარჯვა, მით უფრო ნაკლებია ხარატის შრომის ნაყოფიერება.

პ. ზუბრიცკიმ გადაწყვიტა გაეუმჯობესებინა ჩარხიდან დეტალის მოხსნის ტექნიკა და ამით შეემცირებინა დამხმარე დროის ხარჯი, გაედიდებინა სამანქანო დრო (ე. ი. ის დრო, როდესაც ჩარხზე დეტალის დამუშავება ხდება) და ამით აემაღლებინა ხარატის შრომის ნაყოფიერება.

— უნდა მივაღწიო დეტალის მოხსნის სრულ ავტომატიზაციას! — გადაწყვიტა მან.

ხანგრძლივი ძიებისა და მუშაობის შემდეგ მან სახარატო ჩარხს მოარგო სპეციალური ხელსაწყო. ეს ხელსაწყო წარმოადგენს ლითონის სათანადო სიმაღლის სვეტს, რომელსაც ზემოდან მორგებული აქვს ლითონისავე პატარა ბაქანი. ამ ბაქანზე გამართულია ერთი კილოვატის სიმძლავრის ელექტრომოტორი, რომელიც ღილვაკის საშუალებით შეერთებულია რედუქტორთან. რედუქტორს ბოლოზე მორგებული აქვს სპეციალურ ბუდეში ჩადგმული დეტალი, რომლის ნასვრეტში თავსდება სათანადო ზომის გასაღები. ხარატს შეუძლია სახარატო ჩარხის გვერდით მთელი ამ ხელსაწყოს ამოქმედება პედალზე ფეხის დაჭერით. გასაღები სასურველი მიმართულებით დაბრუნდება, ავტომატურად გაშლის ჩარხზე დეტალის დასამაგრებელ დარჯაკს და დეტალს გაათავისუფლებს.

როგორც გულდასმითმა გაანგარიშებამ ცხადყო, ამ ხელსაწყოს გამოყენება ხარატის შრომის ნაყოფიერებას აამაღლებს სულ ცოტა 20 პროცენტით. საყურადღებოა ისიც, რომ ასეთი ხელსაწყოს მორგება შეიძლება ყველა ტიპისა და სისტემის სახარატო ჩარხზე.

ქარხანაში მომუშავე გამოჩენილ ნოვატორებს თანდათანობით ემატებიან ახალი ადამიანები, ტექნიკური პროგრესისათვის დაუღალავი მებრძოლები. ერთი ასეთია გრიგოლ დოლუზაშვილი, რომელიც საინსტრუმენტო საამქროში მუშაობს მხერავად.

გრიგოლ დოლუზაშვილმა გააუმჯობესა ლითონსახერხი ჩარხის რამდენიმე დეტალი. მან შენიშნა, რომ ჩარხზე ხრახნმჭრელის სახერავად მუშას დიდი დამხმარე დრო ეხარჯებოდა, განსაკუთრებით ე. წ. ულელაკის დაყენებასა და ხრახნის მოჭერაზე. დამხმარე დროის შემცირების მიზნით მან დაამზადა მარტივი კონსტრუქციის სამარჯვი, რომელიც იძლევა დასამუშავებელი დეტალის ისე დაყენების საშუალებას, რომ ხრახნის მოჭერა საჭირო აღარ არის. ამ ტექნიკური ოპერაციის გამარტივებით დოლუზაშვილმა ლითონმხერავის შრომის ნაყოფიერება შესამჩნევად აამაღლა, ხოლო დეტალის დამუშავებისათვის საჭირო დამხმარე დრო 90 პროცენტით შეამცირა.

დოლუზაშვილმა მრავალი სხვა გაუმჯობესებაც შეიტანა ლითონდამუშავების ტექნიკაში. ზოგი მისი ნოვატორული წინადადება ინერგება მთელ რიგ სხვა ქარხნებშიც, კერძოდ, ხარკოვის ლითონსახეხი ჩარხების მშენებელ ქარხანაში.

ბევრი სხვა გამოჩენილი რაციონალიზატორი-ნოვატორი მუშაობს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში. ისინი დაუღალავად და თავდადებით იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის და ამის შედეგად შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის.

მეექვსე ხუთწლედში ქარხნის კოლექტივის წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. 1960 წლისათვის მათ 1955 წლის დონესთან შედარებით პროდუქციის გამოშვება უნდა გაადიდონ 122,8 პროცენტით, სხვადასხვა მოდელის ლითონდასამუშავებელი ჩარხების გამოშვება გაზარდონ 54 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 35 პროცენტით და უზრუნველყონ უახლესი კონსტრუქციის, მაღალი წარმადობის ახალი ჩარხების სერიულად გამოშვება. ქარხანაში დღითიდღე ძლიერდება ბრძოლა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად, მიმდინარე წლის საწარმოო დავალების გასანაღდებლად და ამ კეთილშობილურ საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს რაციონალიზატორებს, წარმოების ნოვატორებს.

**გ. გორბატენკო,**
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ინჟინერი რაციონალიზატორული მუშაობისა და გამომგონებლობის დარგში.

## სამმხრივ ასაყირავებელი თვითსაცლელი ავტომობილი

ქუთაისი, 25 ივლისი. (საქინფორმი). ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს კოლექტივმა დაამთავრა ახალი სამმხრივ ასაყირავებელი თვითსაცლელი ავტომობილის „კაზ-602"-ის საცდელი ნიმუშის აგება. ახალი თვითსაცლელი ავტომობილი აგებულია მანქანა „585-ბ"-ის ბაზაზე. მისი ძარა ყირავდება ტელესკოპური ამწის საშუალებით. მანქანის ტვირთტევადობა სამნახევარი ტონაა.

ახალი ავტომობილი გამოსაცდელად გაიგზავნება რესპუბლიკის ერთ-ერთ მშენებლობაზე.

# ხევსურეთის მთებში...

[illegible] სახოს ძირში იყო.

აქედან იწყება ბარისახო-ახალხევის გზის მშენებლობა. მდინარის ნაპირას მუშათა საცხოვრებელი სახლები აუგიათ, აქვეა მაღაზია, სასადილო, დამხმარე ნაგებობანი.

ძველად მთებში მგზავრობა ავტომანქანებით კი არა, ცხენითაც ჭირდა. ქარაფოვან კლდეებზე დაკიდებული ბილიკები ისეთი ვიწრო იყო, რომ ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა.

ოცი წლის წინათ არაგვის ხეობაში პირველმა აფეთქებამ დაიქუხა, ამონალის ძალამ ვეებერთელა კლდეების სხეული დაგლიჯა და მისი ნაწილები ჰაერში აჰყარა, მგრგვინავი ეხო გადავიდა ხევიდან ხევზე, სოფლიდან სოფელში.

დღე დღეს მისდევდა, ღამეს ღამე. თანდათანობით ახლოვდებოდა კლდეთა გრიალი, მშენებლები შეუპოვრად ებრძოდნენ მთების სიჯიუტეს. ქინვალიდან დაწყებული გზა მიიწევდა წინ — ზვავთა სამეფოში.

ახალგაზრდა ხევსური, რომელსაც საკუთარი თვალით ენახა მშენებლობაზე მომუშავე ადამიანები, საფიხნოზე შეკრებილ თანასოფლელებს გატაცებით ეუბნებოდა:

— არ გრცხვენისთა, ხევსურნო, არც ეხლა გახმტყუნდებითავ! ვერც ეხლა გაიგითა, რომ მკითხავ-ქადაგებს ქვე უტყუებივართ?

ახალი ამბით შეცბუნებულმა მოხუცმა, მძიმე მძიმედ ჩიბუხს რომ აბოლებდა, ულვაშებზე ხელი გადაისვა და კმაყოფილებით თქვა:

— შეგრჩეს ენა-პირი, ჩირჩილავ! ძალიან კარგ იქნებავ გზა, ძალიან მძიმე ტვირთის მახდა იქნებისავ ხევსურეთისა!

... ახალი გზით ბარისახოში პირველი ავტომანქანები მოვიდნენ. გზამ ახალი ცხოვრების სინათლე შემოიტანა ხევსურეთის ცენტრში, რამდენიმე წლის განმავლობაში აქ აშენდა ჰიდროელექტროსადგური, სასტუმროს, საავადმყოფოს, ფოსტის, მაღაზიის და სხვა მრავალი შენობა. ბარისახო კარგად მოწყობილ პატარა ქალაქს ჰგავს.

ვაჟა-ფშაველა გულისტკივილით წერდა:

„... ერთი ხევსურის ბალღი, წიქა, სწავლის სურვილით გატაცებული, გაზაფხულზე მივიყვანე ქართულ გიმნაზიაში და ვიშუამდგომლე მიეღოთ, გამოეზარდათ უპატრონო კუთხის შვილი, ერთადერთი მთის კაცი, მაგრამ სკოლის უფროსისაგან ცივი უარი მივიღე".

ათობით ხევსური სწავლობს ახლა ბარისახოს სკოლა-ინტერნატში, ჩვენი რესპუბლიკის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ხევსურეთს ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია — ექიმები, [illegible] სასწავლებელი სამი წლის წინათ დაამთავრა, მეორემ — შარშან.

ვათვალიერებთ გზის მშენებლობის პროექტს, რომელიც კარგა მოზრდილ ტომს შეადგენს. მომავალი ტრასის ხაზი მიჰყვება ხევსურეთის არაგვის ვიწროებს, თანდათანობით სულ მაღლა მიიწევს და ზიგზაგურად ადის ველკეთილის ანუ „დათვის ჯვარის" უღელტეხილზე, რომელიც ზღვის დონიდან 2.666 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

იწყება პირიქით ხევსურეთი. აქედან გზა არშიასავით ეხვევა მთების კალთებს, რამდენჯერმე გადაჰკვეთს ვიწრო ხეობებს, დაეშვება ახალხევის ვზიურ ტაფობზე, საიდანაც შეუერთდება გროზნოსაკენ მიმავალ უკვე არსებულ გზას.

ჯუმბერი და გურამი გვაცნობენ, რომ ბარისახოდან ახალხევამდე გზის სიგრძე 95 კილომეტრს მიაღწევს, რომ საჭიროა შესრულდეს ოთხ მილიონზე მეტი კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაო, უნდა აშენდეს ათობით ხიდი და ბოგირი.

რა მნიშვნელობა ექნება გზას?

გარდა იმისა, რომ მრავალ სასიხარულო ცვლილებას შეიტანს ხევსურეთის მთებში, ამავე დროს ჩვენს რესპუბლიკას უახლოესი გზით დააკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიასთან.

ორჯონიკიძის გავლით თბილისიდან გროზნომდე 317 კილომეტრია, ხოლო გროზნოდან ახალხევამდე ასამდე კილომეტრი. ბარისახო-ახალხევის გზის გახსნის შემდეგ თბილისიდან ახალხევამდე მანძილი იქნება მხოლოდ 200 კილომეტრი, ე. ი. 200 კილომეტრით ნაკლები, ვიდრე ახლა.

ძალიან შემოკლდება ნოღაის საზამთრო საძოვრებზე მიმავალი ტრასაც, რასაც ქართველი მწყემსები წელიწადში ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე — გადიან. ახალი გზა შესაძლებლობას მოგვცემს სრულად გამოვიყენოთ ხევსურეთის ალპური საძოვრები, გავზარდოთ პირუტყვის სულადობა, ავამაღლოთ პროდუქტიულობა.

ხევსურეთი განთქმულია შესანიშნავი ჰავით, მჟავე წყლებით. მშენებლობის დამთავრების შემდეგ მოვა დრო, როცა აქ მოეწყობა დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები.

ბარისახო-ახალხევის გზის გაყვანა 1960 წლამდე უნდა დამთავრდეს, მაგრამ მუშაობის ახლანდელი ტემპი მეტისმეტად ნელია. რაც მთავარია, მშენებლებს აკლიათ ტექნიკა, სრულად არ არის გამოყენებული მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ამ რთულ უბანზე მომუშავე ადამიანებს.

* * *

საღამოხანი იყო, როცა ახლად გაყვანილი გზის დასათვალიერებლად წავედით.

ჩვენს გარშემო მწვანითა და ჩამავალი მზის სხივებით შეფერადებული მთები იდგნენ, რომელთა შორის ხმაურით მიილტვოდა მშფოთვარე არაგვი.

მთებმა კაცივით გაჯავრებაც იციან და ალერსიც. მართლაც, რა ტურფა სანახავია ისინი, როცა ალპური ყვავილებით და მწვანე ბალახით არიან მორთული. ასეთ დროს მიდიხარ ფერდო- [illegible] დროზე ვერ იპოვნის.

ძნელია მთებთან ბრძოლა, მაგრამ მშენებლებს ეს როდი აშინებთ.

სალ კლდესავით შეუდრეკელი ხასიათი აქვს ჩვიდმეტი წლის ხევსურს გიგო არაბულს, რომელიც ბულდოზერის საჭეს მისჯდომია და ვეებერთელა მანქანას ისე თავისუფლად ამუშავებს, როგორც ცოცხალ არსებას. იგი ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და ერთ-ერთ მოწინავე კაცად ითვლება.

ხევსურთა დასახმარებლად ფშავის მთებიდან ამოსულა ხუმარა ბულალაშვილი. მასაც ბულდოზერის მართვა უსწავლია, ვაჟკაცობაში არავის ჩამოუვარდება, შეუპოვრად ანგრევს კლდეებს, ქვა-ღორღისაგან წმენდს მომავალ გზას და შრომაში ისეთივე მოწინავეა, როგორც მისი კბილა არაბული.

მამაპაპური ფარხმალის ნაცვლად მგელიკა ჭინჭარაულს ხელში კომპრესორის სამარჯვი დაუჭერია და ელექტროდენით ბურღავს კლდეებს. ამ ნახვრეტებში ამონალს ჰყრიან, პატრუქს აანთებენ, და მორიგი აფეთქებაც მზად არის.

მექანიზატორთა ბრიგადას უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა სპეციალისტი აბა ლიქოკელი.

ჯუმბერ ჯანელიძემ და გურამ მეგრელიშვილმა ქებით მოიხსენიეს ბრიგადები, რომლებსაც შაგიდ მონაპოვი, ომარ მაჰომედოვი და მაჰომედ ალიევი ხელმძღვანელობენ.

— ისინი დაღისტნელები არიან, მთების ქვეყნის წარმომადგენლები, ხელმარჯვედ, საუკეთესოდ ასრულებენ მიწისა და კლდის სამუშაოებს, — გვითხრეს მშენებლობის ხელმძღვანელებმა.

... მივყვებით ახლად გაჭრილ გზას. უკან მოვიტოვეთ თექვსმეტიოდე კილომეტრი, გავიარეთ ახალი ხიდები, ბოგირები. ჩვენს წინ არის ხევსურეთის ერთ-ერთი შორეული სოფელი ბისო. აქედან უღელტეხილამდე მხოლოდ ცხრა კილომეტრია. სწორედ ამ უბანზე შრომობს ახლა მშენებელთა ყველაზე წინა რაზმი.

ჩამავალ მზის სხივებზე წითლად შეიღება თოვლიანი ჯიხური, სოფელში ნახირის ბღავილი ისმის, ირგვლივ ახლად მოწველილი რძისა და თივის სურნელება დგას. ვბრუნდებით უკან, ავტომანქანის გუგუნი გადადის მთებიდან მთებზე, ჭიუხიდან ჭიუხზე.

ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე შევჩერდით. მოსახვევიდან ცხენოსანი კაცი გამოჩნდა, პირიქითელი ხევსური იყო, გოგოჭური. მგზავრმა ცხენი შეაჩერა და, სამუშაოდან დაბრუნებული მუშები რომ დაინახა, ხმამაღლა წარმოთქვა:

— თქვენი გამარჯვებისა, ვოქებო!

**ა. თოძაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ს. ბარისახო.



**ჩაის ფაბრიკის სასინჯ ლაბორატორიაში**

წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება და გადაჭარბებით ასრულებს ყოველთვიურ საწარმოო გეგმას. აქ გაცხოველებით იბრძვიან იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მზა პროდუქციის გამოშვება 10 პროცენტით გაადიდონ და 3 პროცენტით მეტი მაღალხარისხოვანი ჩაი მისცენ სამშობლოს. საუკეთესო ქართული ჩაის გამოშვებაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ტიტესტერებს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რ. ფაჩუაშვილმა და მ. ბერიკაშვილმა. ისინი არკვევენ ჩაის ხარისხს და მუყაითად, ბეჯითად ეხმარებიან ამხანაგებს საუკეთესო პროდუქციის გამოშვებაში. სურათზე: უფროსი ტიტესტერი რ. ფაჩუაშვილი (მარცხნივ) და ტიტესტერი მ. ბერიკაშვილი ფაბრიკის სასინჯ ლაბორატორიაში ახარისხებენ ჩაის მზა პროდუქციას. ფოტო პ. ლუცენკოსი.

## ხორბალი—ავანსად

ყვარელი. (საკ. კორ.). შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. ცისკარიშვილი ხელმძღვანელობს, წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 19 ცენტნერი ხორბალი.

შილდელებმა გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების დავალება. საკმარისზე გაცილებით მეტი მოიმარაგეს თესლი. ამის შემდეგ დაიწყეს ხორბლის ავანსად გაცემა. თვითეულ შრომადღეზე კოლმეურნეები ხუთ კილოგრამს იღებენ.

ხორბლის ავანსად გაცემა დაიწყეს საბუის, ახალსოფლის, ენისლის, ჭიკაანისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

## მესტიის რაიონში

### ტელეფონი, რადიო კოლმეურნეობებში

რაიონში სულ 17 კოლმეურნეობაა. აქედან თხუთმეტში დადგმულია ტელეფონი. დამატებით ტელეფონის ხაზი გაყვანილ იქნება შორეული სოფლის — იდლიანის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში". სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლების რადიოფიცირება. უკვე მუშაობს 3 საკოლმეურნეო რადიოკვანძი მთიან სოფლებში — კალაში, ნაკრაში და ბეჩოში. საკუთარი რადიოკვანძი აქვთ მესტიას და ხაიშს.

### ახალი მშენებლობანი

რაიონის ცენტრში შენდება პარტიის რაიკომისა და კომკავშირის რაიკომისათვის ადმინისტრაციული სახლი. ქვედა სართული უკვე ამოყვანილია. მშენებლობა დაჯდება 2.300 000 მანეთი. საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ორსართულიან და სკოლის სამსართულიან შენობებს.

სოფელ ხაიშში საექსპლოატაციოდ გადაეცა აფთიაქის ახალი შენობა. რაიონის ცენტრიდან 6 კილომეტრის დაშორებით შენდება ალპინისტური ბანაკი „ლავლადაში", რომლის მშენებლობაზე დაიხარჯება 350 ათასი მანეთი.

### კულტსახლში

წელს კულტსახლის დრამატულმა წრემ, რომლის ხელმძღვანელია ვ. მარგიანი, მაყურებელს უჩვენა კომედიები: „დეპეშა", „ერთი წუთით", „რიკრიკაძის საანგარიშო მოხსენება", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", დრამები: „ალტაის მთებში", „მშვიდობისათვის".

კულტსახლთან არსებობს აგიტმხატვრული ბრიგადა, ჩამოყალიბებულია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 50 კაცის შემადგენლობით. აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მომსახურება გაუწია მეცხოველეობის სამ ფერმას. კულტსახლში 7 თვეში ნაჩვენები იქნა ასამდე კინოსურათი, მათ შორის ოცდაათამდე საბავშვო კინოსურათი.

### 10.200 წიგნი ბიბლიოთეკაში

რაიონულ ბიბლიოთეკაში უკვე არის 10.200 ცალი წიგნი. წელს შეძენილ იქნა ათასამდე წიგნი. ბიბლიოთეკას ათასზე მეტი მუდმივი მკითხველი ჰყავს. გამოწერილია 37 სახელწოდების ჟურნალ-გაზეთები. ჩამოყალიბებულია ლიტერატურული წრე, რომელსაც ე. მჭედლიანი ხელმძღვანელობს. წრეში გაერთიანებულია 25 მკითხველი. რეგულარულად იმართება ლიტერატურული საღამოები.

### დახმარება მრავალშვილიან დედებს

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე სახელმწიფო დახმარება გაცემულია 184.834 მანეთის რაოდენობით, 216 დედას მიეცა 87.400 მანეთი ერთდროული დახმარება.

## პრაქტიკაზე ლაჯანურჰესის მშენებლებთან...

ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ ტერიტორიაზე გადაჭიმულ ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღებულია ახალი მშენებლობანი. საბჭოთა ხალხი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აშენებს ახალ ფაბრიკებს, ქარხნებს, ელექტროსადგურებს... ამ მშენებლობებზე პრაქტიკას გადიან, გამოცდილებას იძენენ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპეციალისტები.

ბევრი პრაქტიკანტი-ენერგეტიკოსი არის ჩვენი რესპუბლიკის ახალ მშენებლობებზეც... გაზაფხულზე, როცა მდინარე ბჟუჟზე ელექტროსადგურს აგებდნენ, ქართველ მშენებლებთან ერთად მუყაითად შრომობდნენ ჩინელები ო იან-ტინი და ჩჟაო ჟუნ-კუნი. პრაქტიკაზე საფუძვლიანად რომ აეთვისებინათ საბჭოთა ტექნიკა, ჩინელმა სპეციალისტებმა პეკინის სპეციალურ სასწავლებელში წინასწარ შეისწავლეს რუსული ენა. ისინი არ თაკილობდნენ შავ სამუშაოს, ათასგვარი შეკითხვით მიმართავდნენ მშენებლებს, რომ კარგად გაეგოთ და თავის ქვეყანაში დაენერგათ საბჭოთა მშენებლების სიახლენი.



ბჟუჟჰესის ამუშავების შემდეგ ისინი ლაჯანურჰესის გრანდიოზულ მშენებლობას ეწვივნენ. აქ ჩინეთიდან პრაქტიკაზე ჩამოვიდა აგრეთვე გუტიანჰესის მშენებლობის უფროსი ლონ-დუ-ჩუ. იგი აღფრთოვანებულია ქართველი მშენებლების ენთუზიაზმით, შრომისმოყვარეობით, მათი მუშაობის მეთოდებითა და მეგობრული დამოკიდებულებით, რომლებსაც ისინი იჩენენ ჩინელი ამხანაგებისადმი.

ლაჯანურჰესის გვირაბების გაყვანაზე მუშაობენ მთელს რესპუბლიკაში სახელგანთქმული ინჟინრები, მაღალკვალიფიციური გვირაბმშენებლები ვ. ქარბაძე, ა. ნიშუტა, ა. ოლეინიკოვი, ო. ბლიაძე და სხვები, რომლებმაც გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათგან ბევრს სწავლობენ სტუმრები.

ლონ-დუნ-ჩუ აღტაცებით ამბობს:

— საბჭოთა ინჟინრები ჩვენშიაც ბევრნი არიან, გვეხმარებიან, გვასწავლიან, მაგრამ აქ მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, ბევრი რამ შევიძინე, ბევრი სიახლე მიმაქვს თქვენგან და ეს ჩემთვისაც საამაყოა, რომ წილად მხვდა ბედნიერება ჩემს კოლეგებს გადავცე თქვენი გამოცდილება.

**ვ. აბაშიძე.**

* * *

**სურათზე:** მარცხნიდან — ლონ-დუნ-ჩუ, ლუი-ჩუუ-ჩუანი, ლაჯანურჰესის მშენებლობის უფროსი გ. წულეისკირი და ლაჯანურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინერი რ. კლდიაშვილი საუბრობენ უწნეო გვირაბის მშენებლობის ახალ მეთოდზე.

## არქეოლოგიური ექსპედიციები

მიმდინარე ზაფხულში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს საქართველოს სხვადასხვა რაიონში არქეოლოგიური კვლევის მიზნით გაგზავნილი ჰყავს რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია. სოფელ ხოვლეში აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს ექსპედიცია, რომლის გათხრებით უკვე გამოვლინებულია ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულის შუა ხანების, დაახლოებით VII-VI საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნაშთები. უახლოეს ხანში ექსპედიცია შეუდგება უფრო ადრინდელი ხანის ნაშთების შესწავლას.

თეთრი წყაროს რაიონში ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. გრძელიშვილის ხელმძღვანელობით მუშაობს მეორე ექსპედიცია, რომელიც სწავლობს ფეოდალური ხანის ნასოფლარებს. აქ უკვე მესამე წელია წარმოებს გათხრა, რომელსაც ნაჭივჭავები ეწოდება. ამავე რაიონში 15 ივლისს გაემგზავრა არქეოლოგიური ექსპედიცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია აწარმოებს ბრინჯაოს ხანის ყორღნების გათხრას. ამ გათხრების მიზანია გაარკვიოს თრიალეთის ბრინჯაოს კულტურის გავრცელება ქვემო ქართლში.

ისტორიის ინსტიტუტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია მუშაობს ურბნისის ნაქალაქარის გათხრებზე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სამი არქეოლოგიური ექსპედიციის გაგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთი მათგანი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით იმუშავებს ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში.

# სკოლა-ინტერნატები

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მომავალი სასწავლო წლიდან საქართველოში და აგრეთვე სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში გაიხსნება სკოლა-ინტერნატები. ამ ახალი ტიპის სკოლების დაარსების მთავარი მიზანია კომუნიზმისათვის ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული მშენებლების მომზადება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ზრუნავენ იმისათვის, რომ სკოლა-ინტერნატებში საგრძნობლად გაიზარდოს საბჭოთა პედაგოგების სასწავლო-აღმზრდელობითი შემოქმედება მოზარდ თაობაზე და ამ სკოლების საშუალებით მოხდეს მოსწავლეთა სწავლების შერწყმა საზოგადოებრივ-საწარმოო შრომასთან.

სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელებს საშუალება ეძლევათ ღრმად დაეუფლონ მეცნიერებათა საფუძვლებს, მიიღონ ფართო პოლიტექნიკური მომზადება და საუკეთესო შრომითი ჩვევები. სწავლის დროს აღსაზრდელს საშუალება ეძლევა შემოქმედებითად გამოიყენოს ის თეორიული ცოდნა, რასაც იგი სკოლა-ინტერნატ- [illegible]

საზრდელებმა შეისწავლონ სტენოგრაფია, მანქანაზე ბეჭდვა, წიგნის აკინძვა, ჭრა-კერვა, ქარგვა, კულინარია და სხვ. მოზრდილი ასაკის აღსაზრდელები ყოველწლიურად გაივლიან საწარმოო პრაქტიკას იმის მიხედვით, თუ სკოლა-ინტერნატის რაიონში მეურნეობის რომელი დარგია განვითარებული.

ცნობილია, რომ სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელები წარმოადგენენ ერთ მთლიან კოლექტივს, სადაც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები. რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის რჩევით სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა კოლექტივს სათავეში უნდა ჩაუდგეს კოლექტივის საბჭო, რომელიც არჩეულ იქნება ღია კენჭისყრით აღსაზრდელთა საერთო კრების მიერ. კოლექტივის საბჭოს შემადგენლობაში შევა ცხრა კაციდან თხუთმეტ კაცამდე. საბჭო პასუხისმგებელია აღსაზრდელთა საერთო კრების წინაშე. თავისი წრიდან კოლექტივის საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს, მის თანაშემწეებს, მდივანსა და კომისიის თავმჯდომარეებს. საბჭო მსჯელობს ყველა მიმდინარე საკითხზე და მათს განხილვაში მონაწილეობას მიაღებინებს აღსაზრდელთა ფართო აქტივს. ამავე კოლექტივის საბჭოსთან ჩამოყალიბდება კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია და სხვადასხვა კომისიები (სასწავლო, შრომის, ფიზკულტურის, კულტურულ-მასობრივი, სანიტარული, სამეურნეო და სხვ.).

სკოლა-ინტერნატის კოლექტივის საბჭოს უფლება აქვს მიიღოს აღსაზრდელების მიმართ წახალისების სხვადასხვა ზომა, როგორიც არის, მადლობის გამოცხადება, „საპატიო დაფაზე" ან „საპატიო წიგნში" შეტანა, საპატიო სიგელით დაჯილდოება და სხვ. მაგრამ კოლექტივის საბჭო ამავე დროს მიმართავს დასჯისა და გა- [illegible]

სკოლა-ინტერნატის მუშაობაში პასუხსაგები მოვალეობა ეკისრება მშობელთა კომიტეტს. მაგრამ ამ სკოლის სპეციფიკურობის გამო მშობელთა კომიტეტში ძირითადად იმუშავებენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ის მშობლები, რომლებიც სკოლის მახლობლად ცხოვრობენ.

აღზრდის ამ ახალი სისტემის შექმნა არც ისე იოლი საქმეა. ამიტომ საჭიროა პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები აქტიურად ჩაებან სკოლა-ინტერნატების ჩამოყალიბების საქმეში.

დოც. ალ. გორგაძე.

## „კომუნისტის" მკითხველთა კონფერენცია

თიანეთი. (საკ. კორ.). სამასზე მეტი კაცი დაესწრო გაზეთ „კომუნისტის" მკითხველთა კონფერენციას.

კონფერენცია გახსნა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. მგელიაშვილმა.

გაზეთის მუშაობისა და მის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე ამხ. ა. ჩავლეიშვილი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა. რაიონული გაზეთის „ახალი თიანეთის" რედაქტორმა ა. ობგაიძემ გაზეთ „კომუნისტს" უსაყვედურა, რომ იგი ნაკლებ დახმარებას უწევს რაიონულ პრესას.

— მართალია, — თქვა ამხ. ობგაიძემ, — „კომუნისტში" არც თუ იშვიათად იბეჭდება რაიონული გაზეთების მიმოხილვები, მაგრამ ზოგჯერ მათში მოცემული არ არის ჩვენი მუშაობის ღრმა ანალიზი. ჩემი აზრით, მთავარია არა მარტო ნაკლოვანებათა რეგისტრაცია, არამედ მათი გამოსწორების კონკრეტული გზების ჩვენება.

ამხ. ობგაიძე საჭიროდ ცნობს „კომუნისტმა" მეტი მასალები დაბეჭდოს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად, რომ გაზეთმა კიდევ უფრო გაზარდოს მუშაოფლკორთა აქტივი და მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ძირეული პრესის მუშაკებს.

სოფელ თიანეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. სისაურმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა რაიონის მეცხოველეობის მუშაკთა წარმატებებზე და აღნიშნა, რომ „კომუნისტი" მეტ ინტერესს უნდა იჩენდეს მოწინავე მწყემსებისა და მწველავების მუშაობის გამოცდილების ფართოდ გავრცელებაში.

— მე „კომუნისტის" აქტიური მკითხველი ვარ. — განაცხადა პარტიის რაიკომის ინსტრუქტორმა მტს-ის ზონაში ამხ. გ. ბერიკიშვილმა, — და ყოველთვის ინტერესით ვკითხულობ მის ფურცლებზე მოთავსებულ მასალებს. „კომუნისტისაგან" ჩვენ, ახალგაზრდა პარტიული მუშაკები, მეტს მოველით. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი წერილები, რომლებშიც ასახული იქნება ზონის ინსტრუქტორების საქმიანობის დადებითი გამოცდილება.

„კომუნისტში" ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ფართოდ გაშუქების საკითხს მიუძღვნა თავისი გამოსვლა თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ე. თურქიაშვილმა. მან სურვილი გამოთქვა, რომ „კომუნისტმა" უფრო ხშირად წეროს ახალგაზრდობის აღზრდისა და სასკოლო მუშაობის საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კომკავშირის თიანეთის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. გონჯილაშვილმა და პარტიული ბიბლიოთეკის გამგემ ამხ. ი. არაბულმა.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ „კომუნისტში" მკრთალად შუქდება თიანეთის რაიონი, რომ გაზეთსა და მკითხველს შორის კავშირის განსამტკიცებლად საჭირო იქნება ასეთი შეხვედრები უფრო ხშირად მოეწყოს.

### ხალხთა ურღვევი მეგობრობის დროშით

# მოსკოვის საბჭოს სახელობის სახელმწიფო თეატრი თბილისში

თბილისში წარმატებით დამთავრდა მოსკოვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები.

თეატრს საგასტროლო რეპერტუარში ჰქონდა — 6 სახელწოდების სპექტაკლი — ჯეკ ლონდონის „ქურდობა", ა. კრონის „მეორე სუნთქვა", ვ. სარდუს და ე. მოროს „კატრინ ლეფევრი", ჟან პოლ სარტრის „ლიზი მაკ-კეი", ა. ოსტროვსკის „ლამაზი მამაკაცი", ლ. კულიჯანოვის და ე. სეგელის „ჩვენი ქალიშვილი".

გასტროლების დროს მოსკოველი სტუმრები გაეცნენ ჩვენს დედაქალაქს და მის ღირსშესანიშნაობებს, დაესწრნენ თბილისის თეატრების სპექტაკლებს, ჰქონდათ შემოქმედებითი შეხვედრები თბილისის ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებთან. მოსკოველმა მსახიობებმა რამდენიმე საშეფო კონცერტი გამართეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებისათვის.

თბილისელებმა გულთბილი სიყვარულით გააცილეს მოსკოველი სტუმრები, რომლებიც სოჭში დაამთავრებენ თავიანთ საგასტროლო მოგზაურობას.

ქვემოთ ვბეჭდავთ მოსკოველ შემოქმედთა შთაბეჭდილებებს.

## ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო

ალბათ მეც იმასვე ვწერ, რასაც ჩემი მეგობრები მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრიდან, მაგრამ რა ვქნა? როგორ დავაღწიო თავი ამ მდგომარეობას? ჩვენ ხომ ყველას ერთნაირად შეგვიყვარდა მშვენიერი თბილისი, ჩვენი შესანიშნავი მაყურებლები, თავაზიანი მეგობრები.

პირველად ვარ თბილისში, და უკვე კარგად ვიცი, რომ კიდევ უსათუოდ ჩამოვალ, — მე ხომ ქალაქის დაწვრილებით დათვალიერება ვერ მოვასწარი. მართალია, ქალაქი ისე ლამაზია, რომ ჩემი ოთახის ფანჯრებიდანაც კი — სასტუმრო „თბილისიდან" შეიძლება მისით დატკბობა. მაგრამ ყველაზე უფრო საწყენი ის არის, რომ ვერ დავტკბი ჩემი ამხანაგების — ქართული თეატრის შესანიშნავი ოსტატების ხელოვნებით. ჩვენ ჩამოვედით, როდესაც თბილისში სეზონი იხურებოდა. უდიდესი შთაბეჭდილება, რაც მივიღეთ აკაკი ვასაძის თამაშით „ოიდიპოს მეფეში". აი ის, რის ნახვაც მოვახერხე. ისე კი მინდოდა, სწორედ აქ, საქართველოს მიწაზე განმეგრძო ქართველი ხალხის დიდი კულტურის გაცნობა, ქართული ხუროთმოძღვრების განსაცვიფრებელი ძეგლების ნახვა, მენახა, მომესმინა საოპერო, ბალეტის და, რა თქმა უნდა, დრამატული ხელოვნება. ვიმედოვნებ ეს წყურვილი დავიცხრო 1957 წელს, ქართული ხელოვნების დეკადის დროს მოსკოვში.

მადლობას ვუძღვნი თბილისელ მაყურებელს იშვიათი გულთბილი მიღებისათვის, ჩვენი სპექტაკლების ფაქიზი აღქმისათვის, მეგობრული ატმოსფეროსათვის, რომლითაც ჩვენ მუდამ ვიყავით გარემოცულნი.

მე გეუბნებით „ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო!" და არავითარ შემთხვევაში „მშვიდობით". ჩემს კოლეგებს, მეგობრებსა და დიდი ხნის ნაცნობებს, როგორიც არის ვერიკო ანჯაფარიძე — ცნობილი



მხატვარი, მეგობარი და ჭეშმარიტი ამხანაგი, გასაოცარი მსახიობი, რომლისგანაც შეიძლება მუდამ სწავლობდე, და კიდევ სხვა მეგობრებს, რომლებსაც თბილისში ყოფნის დროს დავუახლოვდი, ვუსურვებ სიხარულსა და წარმატებას, მოსკოვის დეკადაზე გამარჯვებას და ბედნიერებას მთელს საქმიანობაში.

ვერა მარეცკაია,
სსრკ სახალხო არტისტი.

## სიყვარულით მოგელით მოსკოვში

მომხიბლავი თბილისი მშვენიერი საქართველოს ჭეშმარიტად კულტურული ცენტრია. საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლები, მუსიკა



და ლიტერატურა მსოფლიო კლასიკის ოქროს ფონდში შევიდა. ყველაფერი ეს შექმნა მაღალნიჭიერმა ქართველმა ხალხმა, რომელთან ურთიერთობასაც ჩვენთვის დიდი სიხარული მოაქვს.

ჩვენ, მსახიობებმა, ეს ვიგრძენით გამგებ, მომთხოვნ და ამავე დროს კეთილგანწყობილ მაყურებელთან შეხვედრით, რომელიც ავსებდა თბილისის ოპერის თეატრის მშვენიერ შენობას, სადაც მიმდინარეობდა მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის გასტროლები.

თბილისი დიდი თეატრალური კულტურის ქალაქია. ეს ჩანს თუნდაც იმ ორი შესანიშნავი სპექტაკლით, რომლებიც ჩვენ საბედნიეროდ ვნახეთ სეზონის დახურვამდე მარჯანიშვილის სახელობის და რუსთაველის სახელობის თეატრებში. ორივე სპექტაკლი ჭეშმარიტად დიდი ხელოვნების ნაწარმოებია.

სპექტაკლმა „ოიდიპოს მეფემ" რუსთაველის სახელობის თეატრში გაბედულად, ძლიერად, სიყვარულით აღადგინა საუკუნეთა წიაღიდან სოფოკლე. ეს საინტერესო, მონუმენტური დადგმა შესაძლებელს ხდის ლაღად გაშალოს ფრთები საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავი ოსტატების სსრ კავშირის სახალხო არტისტების ა. ხორავასა და ა. ვასაძის დიდმა ნიჭმა. სასიხარულოა, რომ ასეთი ოსტატების გვერდით თეატრმა საშუალება მისცა ახალგაზრდა მსახიობს ე. მანჯგალაძეს გამოევლინებინა თავისი ტალანტი.

ყველა დანარჩენი მონაწილე ასეთსავე მაღალ შემოქმედებითს დონეზე დგას.

სპექტაკლმა „მეფე ერეკლემ" მარჯანიშვილის სახელობის თეატრში განგვაცვიფრა თანამედროვე ჟღერადობით, მართალი შესრულებით, ანსამბლურობით და რეჟისორული დამუშავებით. დიდ სიმაღლეზე დგას კოლექტივის სამსახიობო ოსტატობის კულტურა.

1957 წელს განზრახულია ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ბ. ოლენინი,
რსფსრ სახალხო არტისტი.

## გულთბილი შეხვედრები

მზიურ საქართველოში ჩვენი ხანმოკლე სტუმრობის დროს საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ორ სპექტაკლს — „მეფე ერეკლესა" და „ოიდიპოს მეფეს".

სპექტაკლში „ოიდიპოს მეფე" ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნიჭიერმა ახალგაზრდა მსახიობმა მანჯგალაძემ, რომლის სახელიც მიგვაქვს მოსკოვში ქართული თეატრის წამყვანი ოსტატების სახელების გვერდით.

ჩვენ გვქონდა ბედნიერება დავსწრებოდით ქართული ცეკვის დამსახურებული ანსამბლის კონცერტს ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ჭეშმარიტმა ხალხურობამ, ტემპერამენტმა, ფაქიზმა ჰუმორმა, მოცეკვავეთა და მუსიკოსთა მაღალმა ოსტატობამ ნამდვილი სიხარული განგვაცდევინა.

ვტოვებთ საქართველოს, მშვენიერ თბილისს დიდი მადლიერების გრძნობით ყველასადმი, ვინც ჩვენს ირგვლივ იყო — სცენის ოსტატები არიან ისინი, მგრძნობიარე, მომთხოვნი მაყურებელი თუ სხვა ამხანაგები.

ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო.

ლ. შაპოშნიკოვა, ი. კარტაშევა, მ. პოგორჟელსკი.

## ქართული თეატრების ორი სპექტაკლი

„მეფე ერეკლე" ვნახეთ 15 ივლისს. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. მაყურებლები დიდი სიყვარულით და გემოვნებით აფასებდნენ სპექტაკლს. ბევრნი, როგორც ჩვენ გავიგეთ, პირველად არ უყურებდა. წარმოდგენის პირველივე სცენებიდან, როდესაც რეჟისორის მიერ მოცემული შესანიშნავი რიტმის მეოხებით ჩვენ გაგვიტაცა პიესაში ასახულმა მოვლენებმა, მე, რომელმაც არ ვიცი ქართული ენა, შეუნელებელი ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს მოქმედების განვითარებას. სპექტაკლის მგზნებარე ტემპერამენტი და შესანიშნავი რიტმი — აი რეჟისორული გადაწყვეტის დამახასიათებელი ნიშნები.

რა შესანიშნავი არიან მსახიობები! მე პირველად ვნახე ვასო გოძიაშვილი და ბედს ვუმადლი, რომ ასეთი სიხარული მარგუნა. რა ნათელი გონებაა, სიფაქიზე, სილამაზე მის ერეკლეში.

დიდებულია დეკორაციებიც, მუსიკაც! შესანიშნავი, ამაღელვებელი სპექტაკლია.

ასეთი ძლიერი შთაბეჭდილების შემდეგ შეუძლებლად გვეჩვენებოდა მეორე დილას, 16 ივლისს, 11 საათზე „ოიდიპოს მეფის" ნახვა. უფრო სწორად — ვეგონა შეუძლებელი იქნებოდა მისი ასევე უშუალოდ და ძლიერად აღქმა.

მაგრამ შესაძლებელი აღმოჩნდა! ეს იმიტომ, რომ სპექტაკლი საინტერესოა, გიპყრობს და უკიდურესად გაღელვებს. სცენის ფიცარნაგის შესანიშნავი გადაწყვეტა, რომელიც საშუალებას იძლევა სპექტაკლი უანტრაქტოდ ითამაშონ, მოვლენებს უჩვეულო ტრაგედიულობას ანიჭებს. ძალიან საინტერესოდ და ზუსტად არის დამუშავებული სპექტაკლში სინათლის პარტიტურა. დ. ალექსიძის მიერ დადგმული „ოიდიპოს მეფე" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი რეჟისორული სპექტაკლია, რომლებიც მინახავს უკანასკნელ წლებში.

რეჟისორისა და მსახიობის რა დიდი გამარჯვებაა ახალგაზრდობის წლებში ოიდიპოსის ისე თამაში, როგორც ე. მანჯგალაძე თამაშობს. მე ოდესღაც ამ როლში ვნახე სანდრო ლუისი და მეშინოდა, რომ ვერ დავივიწყებდი მის ოიდიპოსს. მაგრამ მანჯგალაძემ ხელახლა გამაცდევინა ოიდიპოსის საზარელი ბედი და ახლებურად დამანახვა მისი შინაგანი სამყარო.

ძლიერია და ნაზი ნ. ლაფაჩის შესრულებით იოკასტე, გონიერია კრეონი — გ. საღარაძე, ტირეზია — ნ. ჩხეიძე, მოამბე — ე. აფხაიძე, მწყემსი — ზ. კობახიძე. გჯერა მათი, მათთან ერთად ცოცხლობ მწარე სიცოცხლით.

ჩვენ ვერ ვნახეთ, უფრო სწორად ვერ მოვასწარით სცენაზე გვენახა დიდი მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, სესილია თაყაიშვილი და სხვა ჩვენი კოლეგები. გვინდა რაც შეიძლება მალე ვნახოთ ისინი სცენაზე, სპექტაკლებში, გვინდა მოვისმინოთ შესანიშნავი ქართული ოპერა, გვინდა ვნახოთ თბილისის რუსული თეატრი. ერთი სიტყვით, არ გვინდა დიდი ხნით დაგშორდეთ. გულით გელით, ძვირფასო მეგობრებო, მსახიობებო, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში.

ი. ანისიმოვა-ვულფი,
რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი.

## დაუვიწყარი მეგობრობა

თბილისში საგასტროლოდ ყოფნის დროს ვნახეთ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, გავეცანით თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივმა გვიჩვენა ძალიან კარგი სპექტაკლი სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე". მაღალ დონეზე დგას სამხატვრო-სადადგმო ნაწილის მუშაობის კულტურა. სპექტაკლი შეკრულია და ცოცხლად გამოიყურება.

თბილისში ძალიან კარგად ვგრძნობდით თავს. როგორც უახლოესი მეგობრები, ისე მიგვიღეს ოპერისა და ბალეტის თეატრის მუშაკებმა, გვეხმარებოდნენ სპექტაკლების ჩატარებაში.

ეს ალერსი და ყურადღება კიდევ ერთი დასაბუთებაა ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და სიყვარულისა.

თეატრის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ბ. გერასიმოვი — ელექტროგამნათებელი.
სადადგმო ნაწილის მუშაკები ვ. ბოგდანოვი, ვ. ბოდროვი, ა. კოჩალკინი.

## ლამაზი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში

თბილისში გატარებული დღეები დამამახსოვრდება როგორც სასიხარულო და ლამაზი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში. ვწუხვარ, რომ ძალიან ბევრი მრჩება უნახავი. შთაბეჭდილებები კი განუზომლად დიდია, ყველა ისინი ლამაზია, როგორც თაიგული თბილისის ყვავილებისა, რომელიც ახლა ჩემს მაგიდაზე დგას.

ყოველ საღამოს სავსეა ოპერის თეატრი, სადაც მიდის ჩვენი სპექტაკლები — რა შეიძლება მსახიობის თვალისათვის იყოს ამაზე საამო.

ეს შეხვედრები მეტყველებენ ქართველი ხალხის გულთბილ გრძნობებზე რუსი ხალხისადმი.

სპექტაკლებისაგან თავისუფალ დროს საკონცერტო ბრიგადასთან ერთად შემთხვევა მქონდა ვყოფილიყავი სხვადასხვა აუდიტორიაში, და ყველასაგან მესმოდა გულთბილი სიტყვები ჩვენი ხალხების მეგობრობაზე. ეს სიტყვები და სასიამოვნო მღელვარება მიგვყვება მოსკოვში!

რ. პლიატი,
რსფსრ სახალხო არტისტი.

## მოდის საიმედო ახალგაზრდობა

სულ რამდენიმე დღეა თბილისში ვართ, და ყოველ ჩვენგანს უკვე იმდენი მეგობრები ჰყავს, რომ ვერცერთი თეატრის დარბაზი ვერ დაიტევს მათ.

ჩვენ გვქონდა კონცერტები თბილისის ქარხნებსა და საწარმოებში, სადაც ვეცნობოდით მუშებსა და ინტელიგენციას. როგორც თეატრში, ისე აქაც გვხიბლავდა მაყურებელთა უნარი ხელოვნების სწორად გაგებისა.

ჩვენ, ახალგაზრდა მსახიობებს, ძალიან გაგვეხარდა, როცა სპეციალურად ჩვენთვის ნაჩვენებ სპექტაკლში ვნახეთ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი. თვით ფაქტი, რომ კლასიკური მემკვიდრეობის ისეთ ურთულეს როლს, როგორიც არის ოიდიპოს მეფე, ა. ხორავასა და ა. ვასაძის გვერდით ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ე. მანჯგალაძე, იმას მოწმობს, რომ ქართულ თეატრს ჰყავს ღირსეული ცვლა.

ა. ადოსკინი.



მ. პოგორჟელსკი, ი. კარტაშევა, ლ. შაპოშნიკოვა.



ბ. გერასიმოვი, ა. კოჩალკინი, ვ. ბოდროვი, ვ. ბოგდანოვი.

# ახლის დაუცხრომელ ძიებაში

მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრი თავისი არსებობის ოცდაცამეტი წლის მანძილზე პირველად გვეწვია საგასტროლოდ ჩვენს დედაქალაქ თბილისში.

ამ თეატრის სპექტაკლების ერთ-ერთ მიმზიდველ ძალას, ჩემი აზრით, ის შეადგენს, რომ იგი ნათელ, რეალისტურ თეატრალურ ფორმებში აწვდის აზრსა და ემოციას საბჭოთა მაყურებელს, რომელიც თეატრში მიდის არა მარტო ესთეტური სიამოვნებისათვის, არამედ სულიერი საზრდოსათვის.

სახელოვანი შემოქმედებითი კოლექტივის მაღალი თვისებაა ისიც, რომ ამ კოლექტივის წამყვანი მსახიობები ვ. მარეცკაია, რ. პლიატი, ბ. ოლენინი, ტ. ოგანეზოვა, მ. როზენ-სანინი, ტ. დობროტვორსკი და სხვები, ინარჩუნებენ რა თავიანთ აქტიორულ ინდივიდუალობას, პირველ პლანზე აყენებენ პიესის თემას, იდეასა და ამოცანას.

ამ საქმეში გარკვეული ღვაწლი მიუძღვით თეატრის რეჟისურას, მთავარ რეჟისორს, ცნობილ ხელოვანს ი. ზავადსკის.

ვფიქრობ, ჯეკ ლონდონის პიესის „ქურდობის" წარმოდგენამ საკმაო საბუთი მოგვცა ვთქვათ, რომ რეჟისურამ, მხატვარმა და მსახიობებმა შექმნეს მაღალმხატვრული სპექტაკლი, რომელშიც ამაღელვებლად გადმოგვცემენ მარგარეტ ჩალმერსისა და ნოქსის ცხოვრებისა და ბრძოლის ცხოველ სურათებს.

თბილისელ მაყურებელს დიდხანს არ დაავიწყდება სპექტაკლ „ქურდობაში" ოქროს კულულებიანი, ბავშვური მიამიტობით ზედატუჩაწეული, გემოვნებით ჩაცმული, კოხტა ახალგაზრდა ამერიკელი ქალის გამოჩენა. მას მაგრად ჩაუვლია ხელი თავისი პატარა ბიჭუნასათვის, ჯერ სიტყვა არ უთქვამს, თავისი მოციმციმე თვალებით ზვერავს დარბაზს. რა ვერ ნახავს ღირსეულს, რომელსაც უნდა წარუდგინოს თავისი სიცოცხლის ერთადერთი აზრი — ბიჭუნა, მზერა გამოუცნობი სევდით ეყინება. უსიტყვოდ გრძნობთ, რომ ეს ქალი უცხოა, მარტოა ამ საზოგადოებაში, მისი ყურადღების ღირსი იქ არავინ არის.

ასეთი იყო მარგარეტ ჩალმერსის პირველად გამოსვლა სცენაზე, დახატული ვერა მარეცკაიას მიერ, რომელიც ძუნწი ჟესტით, სადა და მკვეთრი საქციელით ოსტატურად ამჟღავნებს თავისი სახის სულიერი სამყაროს ყოველ კუნჭულს.

ეს წარმატება სპექტაკლში მარეცკაიასთან ერთად გაიზიარეს მისმა ღირსეულმა პარტნიორებმა: ნოქსის როლში ტ. დობროტვორსკიმ, მამის როლში მ. როზენ-სანინმა, დედის როლში ტ. ოგანეზოვამ, ხაბარდის როლში ს. სოკოლოვსკიმ და სხვებმა.

კანონიერი ინტერესით ელოდა აგრეთვე თბილისელი მაყურებელი მისთვის ნაცნობ პიესას „მადამ სან-ჟენს", საგასტროლო აფიშებში „კატრინ ლეფევრად" გამოცხადებულს. ამ პიესას ქართულ სცენაზე წარსულში კარგი რეპუტაცია შეუქმნეს გამოჩენილმა მსახიობებმა ეფემია მესხმა — კატრინის როლში, ვალერიან გუნიამ — ლეფევრის როლში, კოტე მესხმა და ალ. იმედაშვილმა — ნაპოლეონის როლში, ხოლო საბჭოთა სცენაზე თამარ ჭავჭავაძემ (კატრინი), ს. ზაქარიაძემ (ლეფევრი) და ვ. გოძიაშვილმა (ნაპოლეონი).

ვ. მარეცკაიას კატრინი მკვეთრი გამოსახულებაა ქალის უსაზღვრო სიყვარულისა ქმრისადმი, რომელთან განშორება მხოლოდ სიკვდილს თუ შეუძლია. როდესაც კატრინი ეჭვით შეპყრობილ თავის საყვარელ ლეფევრს წყრომით, იატაკზე ფეხის გაუბედავი ბაკუნით (თვალებით კი ემუდარება) ეუბნება „აბა, თავიდან მომწყდიო", რა მომხიბლავი და თან რა სასაცილო სცენაა — რამდენ გრძნობათა ამშლელი!

ანდა კატრინის „ომი" ნაპოლეონთან მესამე მოქმედებაში. კატრინი ისე კუშტად, ისე ამაყად დგას ნაპოლეონის წინაშე, რომ გჯერათ ამ ქალს ფეხსაც ვერ მოაცვლევინებს ვერავითარი ძალა და მუქარა. ეს მაღალი მორალური უპირატესობა, ბრწყინვალედ დახატული მარეცკაიას მიერ, ჩემი აზრით, კიდევ უფრო მეტი ძალისა იქნებოდა, რომ მეორე მოქმედებაში უკვე ჰერცოგინიას ხარისხში ამაღლებულმა კატრინ ლეფევრმა თავისებურად მწარედ დასცინოს და გაამასხარაოს თავისი მასწავლებლები, ვიდრე თითქოს თავის უცოდინარობითა და მოუხერხებლობით თვით ჩავარდეს სასაცილო მდგომარეობაში, და მერე ვისთან? ახლად გამომცხვარ არისტოკრატებთან, ვისზედაც მთელი თავით მაღლა დგას კატრინ ლეფევრი, რომელმაც თავის ქმართან ერთად ჰერცოგინიას სახელი თავისი ნიჭითა და უნარით მოიპოვა, როგორც ნაპოლეონმა იმპერატორის სკიპტრა და ტახტი.

ყურადღების ღირსია მსახიობ ბ. ოლენინის მიერ ნაპოლეონის სახის შესრულება: დიქტატორი, ეგოისტი, მტაცებლური, მსუნაგი ბუნებით, მაგრამ ფრთხილი, ჭკვიანი და ზომიერი. მისი მოულოდნელი, თითქოს გულუბრყვილო კითხვა „როგორ?" სრულ სურათს გვიხატავს.

ასეთივე დამაჯერებელია რ. პლიატი ჟოზეფ ლეფევრის როლში.

არტისტული ტაქტით თამაშობს ფუშეს როლს ბ. ლავროვი.

აი ასე თანმიმდევრულად ავითარებს მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრი თავის რეპერტუარში სოციალურ თემას, იდეას, ინახავს რა პიესის ჟანრს, ნაწარმოების სტილს, ქმნის შემოქმედებითი კოლექტივის საფუძველზე ამ თეატრისთვის დამახასიათებელ დრამატულ ქმნილებებს.

შეიძლება ყოველთვის არ მოსდევდეს მაღალი წარმატება ამ დაძაბულ შრომას, წარმატებაში მეტნაკლებობა ყოველთვის ჰქონია თეატრს, მაგრამ როდესაც თეატრის კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდება და ახლის დაუცხრომელ ძიებაშია, მისასალმებელია და დასაფასებელი.

მოსკოვის საბჭოს სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან დრამატულ თეატრს, მის სახელოვან ოსტატებს, მის ღვაწლს ღრმა პატივისცემის გრძნობით შეინახავს თბილისელი მაყურებელი, სულითა და გულით უსურვებს ახალ წარმატებებს სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ.

ა. ვასაძე,
სსრკ სახალხო არტისტი.

## სსრ კავშირის დახმარება ინდოეთისა და ბირმის მოსახლეობისადმი

კაჩის შტატში (ინდოეთი) მომხდარი მიწისძვრის შედეგად არის ადამიანთა მსხვერპლი და დიდი ნგრევა.

იმ სტიქიური უბედურების გამო, რომელიც ინდოელ ხალხს ეწია, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირმა ინდოეთის მთავრობას გადაურიცხა 20 ათასი რუპია ამ შტატის დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად.

• • •

როგორც საბჭოთა პრესა უკვე იუწყებოდა, ჩრდილოეთ ბირმაში, ქალაქების მანდალაისა და საგაინგის რაიონში, მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის შედეგად არის ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ნგრევა.

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 20 ათასი ჯ. გადარიცხა ჩრდილოეთ ბირმის მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების ფონდში. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა იუგოსლავიის ალპინისტთა კავშირის დელეგაცია

26 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა იუგოსლავიის ალპინისტთა კავშირის დელეგაცია 11 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობს [illegible]

## უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — ურჩიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას მეთერთმეტე სესიაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღოს ტუნისი.

საბჭოს სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გ. ფ. საქსინმა განაცხადა, რომ, როგორც საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, ტუნისი, დამოუკიდებელი სახელმწიფო სავსებით შეესაბამება წევრობის შესახებ წესდების მოთხოვნებს და სამართლიანად უნდა დაიკავოს თავისი ადგილი გაერთიანებული ერების ოჯახში.

ტუნისში განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებამ, თქვა მან, გამოალვიძა უმაგალი- [illegible]

## ინგლისის საავტომობილო მრეწველობის მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 26 ივლისი. (საკდესი). მეოთხე დღეა გრძელდება კომპანია „ბრიტიშ მოტორ კორპორეიშნის" საავტომობილო ქარხნების მუშათა გაფიცვა ბირმინჰამში, კოვენტრისა და ოქსფორდში. როგორც ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. უილიამსმა განაცხადა, ამჟამად გაფიცვაში მონაწილეობას იღებს ამ ქარხნებში დასაქმებულ პროფკავშირის წევრთა 90 პროცენტი.

პრესის ცნობებით, მოხდა მთელი რიგი შეტაკებები ერთი მხრივ გაფიცულებსა და მეორე მხრივ შტრეიკბრეხერებსა და პოლიციელებს შორის. გაზეთები აგრეთვე იუწყებიან, რომ გუშინ იმ ფაშისტური ორგანიზაციის წევრებმა, რომელსაც მოსლი მეთაურობს, სცადეს ჩაეფუშათ გაფიცულთა მიტინგი ბირმინჰამის ერთ-ერთ პარკში. ფაშისტები მიტინ- [illegible]

## იტალიის რკინიგზელთა გაფიცვის შემდეგ

[illegible]

რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ე. ტ. ჩერედნიჩენკო და საკავშირო პროფსაბჭოს და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

[illegible] ბების გაუმჯობესებას. მოხსენება გააკეთა გზათა მინისტრმა ანჯელინიმ, რომელმაც განაცხადა, რომ რკინიგზელთა მოთხოვნები არ შეიძლება დაკმაყოფილდეს „ფინანსურ შესაძლებლობათა" უქონლობის გამო. ასეთივე თვალსაზრისია გამოთქმული სხდომის შემდეგ გამოშვებულ კომუნიკეში.

[illegible] რომ იგი გულგრილად ეკიდება მშრომელთა სასიცოცხლო საჭიროებებს". დი ვიტორიოს განცხადებით, ახლა „პროფკავშირები იძულებული იქნებიან კიდევ უფრო ენერგიულად გაჩაღონ ბრძოლა" რკინიგზელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

## ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

[illegible]

## სუდანის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

[illegible]

[illegible]

მფრინავებს, უკვეთავენ აგრეთვე შორი მოქმედების ბომბდამშენებს და 7 სხვადასხვა ტიპის ვერტმფრინავებს.

მიმდინარე საბიუჯეტო წელს 35 მილიონი მარკა გამოყოფილია როგორც თავდაპირველი ხარჯი დასავლეთ გერმანიის საავიაციო მრეწველობის შესაქმნელად. გარდა ამისა, სამრეწველო წრეებს განზრახული აქვთ ამ მიზნისათვის დამატებით დახარჯონ 15-16 მილიონი მარკა.



[illegible]

## ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

### პირველი სტუმრები ლუჟნიკში

მოსკოვი, 27 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დედაქალაქი ემზადება დიდი სპორტული ზეიმისათვის — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. ლუჟნიკის ახალ სტადიონზე, სადაც გაიხსნება ეს გრანდიოზული ასპარეზობა, მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები.

29 ივლისს დედაქალაქის ეს ახალი სასპორტო ნაგებობა პირველად მიიღებს სტუმრებს. ესენი იქნებიან მოსკოველი მშენებლები, ლუჟნიკის გიგანტური მშენებლობის უშუალო მონაწილენი — მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სპორტსმენები და დედაქალაქის მშრომელები.

აქვე შედგება მოსკოვის მშენებელთა კრება. მოეწყობა ფიზკულტურელთა მასობრივი გამოსვლები, ამხანაგური შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

### უკანასკნელი შეხვედრები ფრენბურთში

მოსკოვი, 27 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები ფრენბურთში ჯგუფების მიხედვით.

საქართველოს ვაჟთა გუნდი, დღეს შეხვდა უზბეკეთის ფრენბურთელებს და მოიგო მატჩი ანგარიშით 3:1. ამრიგად, ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდმა დაამთავრა შეხვედრები თავის ჯგუფში და იგი ვერ გავიდა პირველ ფინალურ ჯგუფში, სადაც გათამაშდება 6 საპრიზო ადგილი. პირველი ფინალური ჯგუფის პრეტენდენტები არიან მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის ვაჟთა გუნდები.

ქალთა გუნდებს შორის გამოირჩევიან მოსკოვისა და საქართველოს გუნდები. დღეს დედაქალაქის ფრენბურთელებმა დაამარცხეს ესტონეთის გუნდი და ფინალში გავიდნენ.

სომხეთის ქალთა გუნდმა მოუგო მოლდავეთის ფრენბურთელებს 3:1, უკრაინის ქალთა გუნდმა — ყირგიზეთისას 3:0, ბელორუსიისამ — კარელიის სპორტსმენთა კოლექტივს 3:1.

დღევანდელი საღამოს შეხვედრების შემდეგ დაკომპლექტდება ფინალური ჯგუფი. დასკვნითი ასპარეზობა დაიწყება 29 ივლისს.

### მრავალდღიანი ველორბოლა

კიევი, 27 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). სსრ კავშირის მრავალდღიანი ველორბოლის VII ეტაპი ლუბნი-კიევი იყო. ლუბნიდან სპორტსმენებმა 26 ივლისს აიღეს სტარტი. ამინდი კვლავ არახელსაყრელი იყო. დისტანციაზე მძაფრი ასპარეზობა გაჩაღდა. ბრძოლა ძირითადად მოსკოველ და უკრაინელ ველომრბოლთა შორის მიმდინარეობდა.

კიევში სპორტსმენებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ფინიშთან პირველი მივიდა დედაქალაქის გუნდის წარმომადგენელი კაპიტანოვი, რომელმაც 201 კილომეტრი გაიარა 4 საათში, 44 წუთსა და 38 წამში. მეორე ადგილი დაიკავა სიროტინმა (მოსკოვი). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვის გუნდი.

შვიდი ეტაპის შემდეგ მრავალდღიანი ველორბოლის ლიდერია მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი სიროტინი.

დღეს ველორბოლას მონაწილენი ისვენებენ. ხვალ გაიმართება VIII ეტაპი კიევ-ჩერნიგოვის მარშრუტით.

### საქართველოს I და II ნაკრები გუნდების შეხვედრა

გუშინ, თბილისის „დინამოს" სტადიონზე, გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ საქართველოს I და II ნაკრები გუნდები. ანგარიშით 4:0 გაიმარჯვა საქართველოს I ნაკრებმა.

## კ ე მ ბ რ ი ჯ ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

ვის არ გაუგონია კემბრიჯის უნივერსიტეტი. ეს ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი უნივერსიტეტია, რომელიც მომსახურებას უწევს მაღალ არისტოკრატიას.

კემბრიჯის უნივერსიტეტი დაარსდა მე-13 საუკუნის დასაწყისში. მე-17 საუკუნეში ბეკონის ინდუქციურ მეთოდსა და დეკარტის რაციონალიზმზე სწავლების დაფუძნებამ უნივერსიტეტში ხელი შეუწყო მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აყვავებას.

მრავალი გამოჩენილი მეცნიერის სახელია დაკავშირებული კემბრიჯის უნივერსიტეტთან. 1837 წელს აქ მიიღო მაგისტრის ხარისხი დიდმა ბუნებისმეტყველმა ჩ. დარვინმა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის კანცლერს, რომელიც საპატიო პიროვნებად ითვლება, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთაგან ნიშნავენ. ფაქტიურად უნივერსიტეტს განაგებს ვიცე-კანცლერი, რომელთანაც შექმნილია საბჭო კოლეჯების ხელმძღვანელთა შემადგენლობით.

კოლეჯებს ინგლისში უწოდებენ სამეცნიერო დაწესებულებებს, რომლებიც უნივერსიტეტების შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტების უფლებით, ან არსებობენ როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლები. ასეთი ტიპის პირველი კოლეჯები შეიქმნა ოქსფორდში 1249 წელს, კემბრიჯში — 1284 წელს, ლონდონში — 1523 წელს. ინგლისში კოლეჯებს ცალკეულ პრივილეგიურ საშუალო სასწავლებლებსაც უწოდებენ.



კემბრიჯის უნივერსიტეტი დაფუძნებულია კოლეჯების სისტემაზე. ყველა კოლეჯში ხორციელდება ვიწრო სპეციალიზაცია. შესასწავლი საგნების რაოდენობა დიდი არ არის. ეს ხელს უწყობს სპეციალობის კარგად დაუფლებას. უნივერსიტეტს აქვს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოლოგიისა და ფიზიოლოგიის მუზეუმები, მხატვრული გალერია, ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში 1,5 მილიონი წიგნი და 10 ათასი ძველი ხელნაწერია.

**სურათზე:** კემბრიჯის უნივერსიტეტი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ახალგაზრდა მონადირის მამაცობა

ლენტეხი. (საკ. კორ.). რაიონში ყველა იცნობდა სახელოვან მონადირეს ი. ლიპარტელიანს, რომელსაც 52 დათვი, მრავალი მგელი და სხვა ნადირი ჰყავდა მოკლული. მამის ნაქონ სანადირო თოფს არ აქანებს მისი შვილი — ლენტეხის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე კომკავშირელი ბ. ლიპარტელიანი. იგი საბამუშო მოსწავლეა და კარგი მონადირე.

ამას წინათ ბ. ლიპარტელიანმა ტყეში ნახა ოთხი დათვი. მონადირემ სამი გასროლით მოკლა სამი დათვი, ხოლო მეოთხე გაიქცა. მეორე დღეს დაუდარაჯდა მეოთხე დათვს და ისიც მოსპო.

## იშვიათი შემთხვევა

თელავის რაიონის სოფელ თეთრი წყლების მცხოვრები 60 წლის კოლმეურნე მახეილ ბალათერას-ძე გოგოჭური ამ დღეებში კოლმეურნეობის ნაკვეთში მუშაობდა ცივ-გომბორის უღელტეხილთან. უცებ ბუჩქებიდან გამოხტა მგელი, ეცა მას და ხელზე უკბინა, მაგრამ მოხუცი არ დაიბნა, მოიკრიფა ძალ-ღონე მგელს კისერში სტაცა ხელი, ქვეშ მოიქცია და ცოცხლად დაიჭირა.

გოგოჭურმა ცოცხალი მგელი სოფელში მიიყვანა.

**ი. ნაროზაული.**

რედაქტორი **ზ. ფირცხალავა.**


## ცეკავშირის თბილისის ერთწლიანი სავაჭრო-კოოპერაციული სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას სავაჭრო, საბუღალტრო და ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებაზე 1956-57 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს: სოფლის კოოპერატივების ბუღალტრებს, სოფლის კოოპერატივებისა და რაიკოოპკავშირების სავაჭრო საწარმოთა გამგეებს და ინსტრუქტორ-რევიზორებს.

სკოლაში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან.

საბუღალტრო განყოფილებაზე მიიღებიან სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის აღრიცხვის დარგის პრაქტიკული მუშაკები, აგრეთვე აღრიცხვის დარგის მოწაფეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ინდივიდუალურ-პრაქტიკული სწავლების კურსი ან იმყოფებიან სწავლებაზე არანაკლებ 5 თვისა.

სავაჭრო განყოფილებაზე მიიღებიან ვაჭრობის დარგის პრაქტიკული მუშაკები და მოწაფეები ვაჭრობის დარგში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ინდივიდუალურ-პრაქტიკული სწავლების კურსი ან იმყოფებიან სწავლებაზე არანაკლებ 5 თვისა.

ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებაზე მიიღებიან მომხმარებელთა კოოპერაციის სისტემის ინსტრუქტორ-რევიზორები და აღრიცხვის დარგში პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟის მქონე მუშაკები.

შენიშვნა: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებიან მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ ექნებათ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მუშაობის პრაქტიკული სტაჟი და გამოცდილება.

სკოლაში სწავლება იწარმოებს ქართულ ენაზე.

განცხადებები მიიღება 1956 წლის 10 აგვისტომდე.

სავაჭრო-კოოპერაციულ სკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის) მოვლინება, ცნობა სამომხმარებლო კოოპერაციაში მუშაობის შესახებ, დაბადების მოწმობა (დედანი), განათლების მოწმობა (დედანი), განცხადება დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ავტობიოგრაფია, 3 ფოტოსურათი (შემოწმებული), პასპორტი და სამხედრო ბილეთი (უნდა წარმოადგინონ პირადად).

საშუალო განათლების მქონე პრაქტიკული მუშაკები მიიღებიან საერთო გამოცდების ჩაუბარებლად, მათთან გასაუბრების შედეგების მიხედვით, ხოლო არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები აბარებენ მისაღებ გამოცდებს.

გამოცდები იწარმოებს 15-დან 25 აგვისტომდე: ქართულ ენაში (წერა-ზეპირი) და არითმეტიკაში (წერა-ზეპირი) — საშუალო სკოლის რვა კლასის პროგრამის მოცულობით.

გარდა ამისა, შემოწმებულ იქნება სკოლაში შემსვლელთა ცოდნა მათს მომავალ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

სავაჭრო განყოფილებაზე შემსვლელებს მოეთხოვებათ ვაჭრობის ორგანიზაცია-ტექნიკის პრაქტიკული საკითხებისა და საქონლის ასორტიმენტის უმარტივესი საკითხების ცოდნა (ცოდნა იმ მინიმუმის, რომელიც სავალდებულოა გამყიდველისათვის).

საბუღალტრო და საინსტრუქტორო-სარევიზორო განყოფილებაზე შემსვლელებს მოეთხოვებათ საბუღალტრო აღრიცხვის დარგში ძირითადი საკითხების ცოდნა.

სკოლაში მიღებულთ მიეცემათ სტიპენდია 250 მანეთის რაოდენობით, ხოლო სწავლის ფრიადოსნებს უდიდდებათ სტიპენდია 25%-ით.

სკოლაში მიღებულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან საერთო საცხოვრებლით (ან მიეცემათ თვეში 75 მანეთი ბინის დასაქირავებლად) და სასადილოს მომსახურებით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

სკოლის მისამართი: ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 88, ტელეფონი 3-07-84.



ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1956-57 სასწავლო წლისათვის.

მომავალი სასწავლო წლიდან სასწავლებელში იხსნება შემდეგი განყოფილებები: 1. სკოლამდელი — ქართული (ამზადებს საბავშვო ბაღის მასწავლებლებს); 2. სასკოლო— ა) ქართული (ამზადებს დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს; ბ) რუსული (ამზადებს დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს.

სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია.

პირველ კურსზე მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა. მისაღები გამოცდები იწარმოებს (საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით) შემდეგ საგნებში: ქართულ სასკოლო და სკოლამდელ განყოფილებებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (თხზულება), რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (წაკითხული უცნობი მოთხრობის შინაარსი), არითმეტიკაში (ზეპირი), რუსულ სასკოლო განყოფილებაზე: ა) რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერა (თხზულება), ბ) არითმეტიკაში — ზეპირი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის დამთავრებისას წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის ოქროს და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი.

პედსასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი (3X4 სმ. დამოწმებული), ჯანმრთელობის ცნობა, სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა (ვაჟებისათვის), ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს განყოფილება, რომელზეც სურს შემსვლელს ჩაირიცხვა.

პედსასწავლებელში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

მისაღები გამოცდების დაწყებამდე მოხდება მუსიკალური შემოწმება (სმენა, რიტმი, მეხსიერება), რაც გადაწყვეტს მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხს.

დაწვრილებითი ცნობები გაიცემა პედსასწავლებელში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა № 22.



**ქალაქ ოდესაში 1956 წლის 30 ივლისს** გაიმართება სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 52-ე ტირაჟი.

ამ ტირაჟში შეიძლება 400-დან 50.000-მდე **მანეთის მოგება.**

ტირაჟში გათამაშდება 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400 **მანეთიანი მოგებანი.**

ყოველწლიურად იმართება სესხის 6 ძირითადი და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

**შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები, მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში!**

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.



მეუღლე ანეტა, შვილები ვახტანგ, ოთარ იუწყებიან **ბაგრატ ანტონის-ძე ხარაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VII, 9 ს. გამოსვენება 29-VII, 5 ს. ჩაბალის ქ. № 1.

მეუღლე ნიფიდორე, შვილები შალვა, ნადია, ნინო, გიორგი, ელენე, რძლები ნადია, ოლია, სიძეები გიორგი და კონსტანტინე ფხაკაძეები და შვილიშვილები იუწყებიან **ვლადიმერ ალექსის-ძე ნიქაბაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-VII სოფელ ფარცხანაყანევში (წყალტუბოს რ.).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **მართა ისაკის ასულ გრატიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VII, 5 ს. ზაქრაძის ქ. № 23.

მოქალაქე თორნიკე არტემის-ძე ჯაბუამ, მცხოვრებმა ბაკურიანის ქ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნათელა ირაკლის ასულ გოგუასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე მიხეილ ივანეს-ძე კულუმბეგაშვილმა, მცხოვრებმა წინამძღვრის ქ. № 35, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ნინო გიორგის ასულ ბოლოთაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ცუცა, შვილები გივი, დოდო, ქეთო, ნათელა, დები სონია, ელისაბედ, რძალი შურა, სიძეები დ. ურთიშვილი, ი. დანელია, გ. გვაზავა და შვილიშვილები იუწყებიან **დავით ანტონის-ძე ჩიქოვანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-VII, 8 ს. გამოსვენება 31-VII, 6 ს. წინანდლის ქ. № 9.

მეუღლე ანა, შვილები ნელი, თინა, სიძე გ. ბერუჩევი, ძმები გიორგი, შალვა, დები კატო, ნინო ოჯახებით იუწყებიან **პეტრე ანდრიას-ძე ახალკაცის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VII, 7 ს. გამოსვენება 29-VII, 3 ს. ჯანაშიას ქ. № 26.

შვილი თინა შვილებით, და ვუგული წულაია ოჯახით იუწყებიან **კონსტანტინე ალექსის-ძე ხირაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 3 ს. საბჭოს ქ. № 123.

მეუღლე მარიამ, შვილები გივი, ნელი იუწყებიან **კონსტანტინე გიორგის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28-VII, 8 ს. გამოსვენება 29-VII, 3 ს. მოსკოვის ქ. № 13.

ძმები გიორგი, პეტრე, ნიკოლოზ ბაქრაძეები ოჯახებით იუწყებიან **დარია ილარიონის ასულ მრევლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 28-VII, 5 ს. გრიბოედოვის ქ. № 25.



**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88. **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03081 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.